

# თადტრი ცემონია

სათეატრო სალიცერ. უნივერსი

№ 21 - 1917

ზარი ფელიზადი გენუთა

პირა 8200 21

15 პ. გამოცხადისა

ჩემი მხარე

1


ვინც ეწვევა საოცნებოდ  
საქართველოს სერებს, კი  
სიმღერაც რომ არ იყოდეს  
მაინც დაიმღერებს!

2

ვინც მისწვდება ჩემი მოების  
მწვერვალებს და ლრუბლებს,  
ისიც მგოსნად გარდიქცევა,  
ღმერთთან ისაუბრებს!

3

საარაკო სილამაზე,  
ხალხიც სასახელო,  
მტერსაც-კი მოინადირებს  
ტურფა საქართველოს



ეგ. ნინოშვილი († 1894) გარდაცვალებიდან  
23 წლის შესრულების გამო. დღეს მის სამართლა-  
თან გურიაში სამოქალაქო მანაშევრი გაიმართება.

გაისის 21

**უსახლებ-** ვის გინახავთ შეფე-მამა უბინაო  
**რონი** და უსახლეარო? თუ არ გინა-  
ხავთ, შეხედეთ ქართველ მსა-  
ხითბს და დაინახავთ.

უსახლეაროსა და უბინაოს რომ ანგარიშს  
არ უწევენ, ესეც ნათლადა სჩანს ჩვენი მელ-  
პომენის მსახურთა აბუჩად აღებით.

მოვეხსენებათ, წელს დარსდა ქართველ  
მსახიობთა პროფესიანალური კავშირი ამ კავ-  
შირჩა მუშაობას თავიდანვე მარჯვედ მოჰკიდა  
ხელი. სხვათა შორის, შუამდგომლობა რამდრა,  
სადაც ჯერ იყო, საცენზურა კომიტეტში  
დაცული პიესების ასლები გადმოგევით,  
რადგან ჩვენი პიესათა საცავი ცეკვება შთან-  
თქა და ამ უამაღ პიესები არა გვაქვსო.

იმის მაგიერ, რო მსახიობთა ეს, დიალ,  
საპატიო თხოვნა შეიწყნარებინათ და ახლად  
დაარსებულ კავშირისთვის ფრთხები შეესხათ,  
პიესები სხვა დაწესებულებას (მართლია სა-  
ბატიოს, მაგრამ მინც სხვას) გადსცეს.

მეორე მაგალითი: საქართველოს ერთი  
მთავარი კულტურული ოჯახი — ქართული  
დრამ. დასი, რომელიც ნახევარ საუკუნოშე  
შეტია რაც არა თუ ქართველი ერის, არამედ  
მთელი ჩვენი კვეყნის უცხო ტომთა ზეკობა-  
გონებით ამაღლებას ემსახურება, დღეს თავის  
სამშობლოს დედა ქალაქში უბინაოდაა, მა-

შინ როდესაც აქ სახემწიფო (ყოფილი სახა-  
ზინო) თეატრია, სადაც კვირაში სამჯერ თუ  
არა, ორჯერ მინც უნდა იდგმეოდეს ქართუ-  
ლი წარმოდგენები, ქართ. ლრამ. დასის მი-  
ერ, დღეს ეს თეატრიც ქართულ მელპომე-  
ნისთვის გარდა მულია.

ეს კიდევ რა? — იგივე სახელმწიფო თე-  
ატრი სამზრუნველოდ ჩაბარეს სულ სხვა  
წრისა და მდგომარეობის პართ, ხოლო არც  
ერთი ხელოვანი კი არ მიუშვეს ხელოვნების  
ტაძრის მოსახლელად.

გაგონილა ასე აბუჩად აღება ხელოვ-  
ნების კეშმარიტ მსახურთა?

ქართული დასი სახელმწიფო თეატრის  
მამა-ბატონთ კარს ურაკუნებს, უბინაო ვარ,  
კარი გამოდე, რომ ჩემს ერს ჩემს სამშობლო  
ენაზე უწირო, სანამ საკუთარ კერს ავიგებ-  
დეთ — მაგრამ შეისმენენ ამ არა იუ თხოვნა-  
მუდანის აზამედ კანონიერ მოთხოვნილებას!?

ქართველ მსახიობს ზნეობრივი და კა-  
ნონიერი უფლება აქვს თბილისის სახელმწი-  
ფო თეატრში ბინა მოითხოვოს და მიიღოს  
კადეც;

გარდა ამ სა, ხელოვნების ტაძარს მხო-  
ლოდ ხელოვნები უნდა მზრუნველობდენ და  
არა სხვან!

ვისაც ყურნი ესხნეს სმენად — ისმინდა!  
იოსებ იშედაშვილი.

## პ ს ა ხ ი რ ი

მე მსოფლიოსე, მსურათ-ხატე დამსახიობი,  
ვიწვი სცენაზე, ვიწვი, როგორც წმინდა პატრუქე;  
და ვითმენ ტანჯვას სილამაზის მტრფობი შემკაბი,  
რომ განვანათლო და მოვფინო ქვეყანას შუქი.

ხან თუ მეფე ვარ სცენაზედა, მეფე-მორქმული,  
რომილის წინ ყველა მოწიწეობს და თავსა იხრის;  
ხშირად ქუჩაში მშიერი ვარ სევდის ძიე-სხმული,  
ყველა ზურგს მაქცევს... და გულიცა ვალალებს, სტირის...

ყველგან ყოველთვის სად წვიდე — ვარ მსახიობად,  
მიყვარს სიცოცხლე და ცხოვრება ზოხეტიალო;  
და მსურს სიკედილის შემდეგც ვიყო ისევ მნათობად;  
რომ ჩემი ყოფნა სცენარულ ის ვყო სატრფიალო...

ერთაშორისობა.

## ს დ ღ ე ი ს ი

სოლოლაკის ბურუუაზიამ თვისი მოღვაწეობის გზაზე ქალიან ბევრი შეცდომა ჩინდინა, რითაც დიდი ზარალი მოუტანა როგორც სომხის ერს, ისე კავკასიის ერთა ძმობა-მეგორობას და მეზობლობას.

ერთი დიდი შეცდომა ის იყო, რომ საქართველოს დედა ქალაქი—თფილისი—ხელში ჩინდლი და ქალაქის თვითმართველობაში აღარ ვაჲვარია.

ქალაქის თვითმართველობა დემოკრატიული უბნებისათვის არაერს არ პეტებზა და მჟღლი მისი საზრუნავი ბურუუაზიას უბნები იყო.

გონიერი აღამიანი მომავლისთვისაც ჭიქრობას, სოლოლაკის ბურუუაზია დღევანდელ დღით სცხოვრობდა და სრულებით არა პლიქაბდა იმაზე, რომ თვითმპურობელობა უკურით უკურისა. მდგ ხომ არ დარჩებოდა რუსეთში.

თვითმპურობელობა დაეცა სამუდამოთ და სოლოლაკის ბურუუაზიას ძველი პოლიცის მზგავსათ ნიადაგი გამოიყალა.

თფილისის თვითმპურობელი სოლოლაკის ბურუუაზია იყო. რაც უნდოდა იმას სასულებდა, როგორც მას სურდა, იქ აწარმოებდა ქალაქის საქმეებს, არავის არ უგდებდა ყურს, არავის მისწრავებასა და კანონიერ სურვილებს არ უწევდა ანგარიშს.

რევოლუციამ სოლოლაკის ბურუუაზია და-სკა და მისი თვითმპურობელობისაგან ქალაქი გაანთვისუფლა.

ვის ეკუთვნის თფილისი?

ქართველ ერს, ქართველ დემოკრატია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველი, დემოკრატიამ ისე უნდა მოიკალათოს თფილისის თვითმართველობაში, როგორც სოლოლაკის ბურუუაზია იყო მოკალათებული.

სოლოლაკის ბურუუაზიის მოღვაწეობა ქა-ლაქის თვითმართველობაში თუ ძირს უთხრიდა მეგორულ განწყობრელებას თფილისის ეროვნებათა შორის, სამაგიეროთ ქართველი დემოკრატიის მოღვაწეობა შტეიცე საძირკვე-ლს ჩაუდგამს ერთა სოლიდარობის ჩენები.

მეთაურობა ამ დიად საქმეში, მეთაურ-

ობა ქალაქის თვითმართველობაში, მეთაურობ ქალაქის საქმეთა მოწყობ-მოწყერიგებაში ქართველ დემოკრატიის უნდა ეკუთვნოდეს და ეკუთვნის კიდეც. რატომ?

იმიტომ რომ თფილისი ქართველი ერის დედაქალაქია?

ამ საბუთსაც თვისი ფასი და ღირებულობა აქვს, მაგრამ მე ამ საბუთით არ ვხელმძღვანელობ.

დღევანდელმა რევოლუციამ ცხადათ დაამტკიცა, რომ არა თუ ჩენები, მთელ რუსეთში ქმრთველი დემდეკრატია მოწინავე დემკრატია.

თფილისის ცხოვრებაში იწყება სრულებით ახალი ხანა—დემოკრატიული.

სოლოლაკის ბურუუაზიას ბატონობამ თფილისის დემოკრატიის ძალიან ცოტა. რამ მისცა.

დღეს ვოველივე ეს უნდა გასწორდეს. ქართველ დემოკრატიის მეთაურობით უნდა შეკავშირდეს მთელი თფილისის დემოკრატია განურჩევლათ ეროვნებისა და დაეპატრონოს თფილისის თვითმართველობას.

თუ სოლოლაკის ბურუუაზია თვითმართველობიდან ყაელის ერეკტოლა გარდა სომხებისა, ქართველი დემოკრატია ფართოთ გაულებს თვითმართველობის ქარს ყველა ეროვნების დემოკრატიას.

ქართველებას, სომხების, რუსების, თაორების და სხვ. დემოკრატები, აი ეინ იქნებიან დღეიდან ქალაქის თვითმართველობაში, აი ვის ებარება დღეიდან თფილისის საქმეები.

სოლოლაკის ბურუუაზიის ბატონობამ თვითმართველობაში მტრობის მეტი ვერაუერი დათხესა ჩენებულ ეროვნებათა შორის.

დემოკრატიის ბატონობა კა სრულ თანხმობასა და ერთობას გნამტკიცებს და არა თუ თბილისის, მთელი კავკასიის ერთა შორის. დღეიდან აღარ იქნება ის მავნე მოღვაწეობა, რაც წინ ელობებოდა ეროვნულ სოლიდარობას ჩენები.

დღეის შემდეგ ყველა ეროვნებათა დემოკრატია ხელიხელ ჩაკიდებულ ვასწევს წინ თფილისის საკეთილდღეოთა და ასაყვავებლათ.

თფილისის თვითმართველობა უნდა გადიქცეს კავკასიის ერთა სოლიდარობის საუკეთესო სკოლათ.

ივ. გომართელი.



კოტე მესხი (1859—1914)

ବ୍ୟାକ୍ ମେଲିକ  
(ଶ୍ରୀଲଙ୍ଘନାଥ)

როდესაც დაუკიტყარ კოტეს ვიხსენიებ,  
გაშინვე თვალ-წინ წარმომილგება მოქალაქე  
მსახიობი.

ევროპიულათ განსწავლილი, ზრდილი და  
მახვილი.

ზრდილობა ეტყობოდა მის ტანს, მისი  
სხეულის ნაქვთიერებას სცენაზე. როგორც  
ვიცით, გარეგნობა ამისათვის არც თუ იძლე-  
ნათ უწყობდა ხელს, მაგრამ მან იცოდა საი-  
დუმლო. სხეულის დრიკილინისა და ვერასო-  
დეს ვერ ნ.ხავდით მას სცენაზედ ულაზაოს,  
უშნოს, მოუზეშვილის მანერებით.

იგი მუდამ კოხტათ მორთული, როლის  
შესაფერად გამოწყობილი, წინდაწინვე შემუ-  
შავებული ლაზათიანი პოზიციათ ასრულებდა  
თვის მოვალეობას. ასე რომ კოტეს ტანს არ  
შერცხვებოდა. რომელიმე მისი პოზა ვინმე  
შესატანისაგანაც რომ ყოფილიყო გადაღებული.

ესეთი მოქნილობა გარეგნობისა კი ჩემის  
ფიქრით, სცენის კაცთათვის მუდამ სანა ქე-  
ბოა.

მახვილი იყო-მეთქა რომ ვთქვი, აქაც  
ხელოვნურ სიმახვილეზე ვამბობ, თორემ მისი  
მოსწრებული სხარტული, ხშირად შხამიანიც,  
მკვიდრი და ბასრი ფრაზები, ან სიტყვები ვის  
არ ახსოვს.

А psopor, კარგი იყო ვისმებს ეკის-  
რნა ამ ნამახვილევთა აღდენა, რადგან ჯერ  
კიდევ ბევრს მის ნაცნობ-მეგობარს ახსოვს  
ზეპირად..

კოტებს სცენიური სიმახვილე კი ის იყო,  
რომ მისგან აღსრულებული როლი ყოველ-  
თვის თავისთვალური იყო, ორგინალური, მი-  
სებური. ეს შესრულება არ გავდა არაესი  
სხვისას.

თვით ისეთი სპეციალური როლიც კა,  
როგორიც არის ნაპალეონისა, საღაც მსახი-  
ობს თითქო არავითარი გასაჭანი არა აქვთ—  
მკვეთრი კიდო, მოკლე ფრაზები, ფიცხი მო-  
ძრა-მოხრა—ამ შაბლონშიაც კოტე პოულო-  
ბდა თავს თავს და გვაძლევდა იმ მხარეს მისი  
ინდივიდუალობისას, რომელიც უდგებოდა ნა-  
კისრ როლს.

ეს შეიძლება ნაკლიც იყოს მსახიობისა-  
თვის. ეს ძან საცილობელი საკითხია. რომელი  
სჯობი? სრული გარდაქმნა როლში თუ თავი-  
სებური განმარტება რომელიმე პიროვნებისა?  
თავისი მეცნა-ს შერჩანა თუ უარყოფა ამ „მე“სი.

არის ისეთი მსახიობი, რომელიც ერთ-ერთ ელემენტს როლის შესაფერს აამუშავებს ხოლმე თვის არსებაში და ამ გვარად აგვიხსნის და განგვიმზარტავს ტიპს.

ესეთი იყო კოტეც მუდამ თავის თავა-  
ლო, თავისებურ. შეიძლება მას არ დაგთანხ-  
მებოდით ოოლის ასრულებაში, მაგრამ მისგან  
შესრულებული სურათი პიროვნებისა უთურდ  
მახვილურად იყო გამონაკვთიერებული, მის-  
გან განზრახული ფერთა გარიგებულება ორ-  
გინალური.

იგი მუდამ თავისი თავით ფიქრობდა. ეს  
თითქმ არ (j) ისე გასაკვირი უნდა იყვეს, მა-  
გრამ ბევრს არა აქვს ეს თვისება.

კოტე მესხს სრულიად არა ჰქონდა ნიჭი  
იმიტაციისა. მის ხსიათს არ შესდგამდა უნა-

რი უბრალო მიმბაველობისა. პირ-იქით სხვე-  
ბი ბაძავდნენ მას. რომელი ქართველი მსა-  
ხიობია ისეთი არ გამოეჯავრებიოს მისი ორ-  
გინალური დიქციისათვის!

მაგრამ, როდესაც მას სცენაზე ხედავ-  
დით, გრძნობდით, რომ თქვენს წინაშე იდგა  
კევიანი კაცი: გონიერი მხატვარი, რომელიც  
სხვა და სხვა მოქადაქობრივი აზრს ტრიბუნი-  
ვით სურათოვნად ქადაგებდა.

ჩემის წარმოდგრით ყაველ ხელოვნებას  
ჰყავს თავისი მგოსანი, თავის პუბლიცისტი,  
მისი გამრკვევ და ხელმძღვანელ.

კოტე კი ჩვენს სცენაზე საუკეთესო ფელე-  
ტონისტი იყო.

აყი იმიტომაც ეგრე ემარჯვებოდა მა-  
ლალ სტილსი, ან თუნდა სალონის კომედიე-  
ბში სათევართა აღსრულება. მისი პეტრუ-  
სიონ, ნაპოლეონი, დონ-საზან დებაზან, პრო-  
პორიევიც კი (სუმბათაშვილის „ბორკილში“)  
ამ დებულების განმამტკიცებელია. და თუ  
მთლად ვერ გაშალა ფრთა მისმა საკომედიო  
შემოქმედებამ ეს ერთის მხრით იმიტომ რომ,  
როგორცა ვთქვი, იგი არ იყო იმიტატორი და  
მეორეს მხრივ იმიტომ, რომ ჩვენი ეროვნული  
თეატრი უფრო სხვა დარგის რეპერტუარს  
ადგა.

და ყველა ეს ლირსებები: სიმახვილე, თა-  
ვის თავადობა, „ზრდილი ანობა“, მან შეიძი-  
ნა დიდი შრომის მოყვარეობით, სიბეჯითითა  
და მუყაითობით.

მუდამ თვით განვითარების მოყვარული,  
მუდამ გაფაციცებით თვალყურის მაღენებელი  
ცხოვრებისა, ხშირად ამ ცხოვრებაშიაც აქ-  
ტიური მონაწილე, როგორც რედაქტორი,  
როგორც უურნალისტიც, ჩვენი ჩვენი ქვეყ-  
ნის ჭირით გულ-მოკლული, ჩვენი ლხინით  
დალხინებული ყოველთვის და ყველგან ღირ-  
სეული წევრი იყო საზოგადოებისა.

ესეც ერთი პლაისი. არ იყო კარ-ჩაკე-  
ტილი, მხოლოდ მსახაობი, მხოლოდ პროფე-  
სითნალური ამ სიტყვას ვიწერ მნიშვნელობით.

ამიტომც იყო იგი მოქალაქე-მსახიობი.

და რამდენათ სამწუხაროა, რომ აღარა  
გვყავს ჩვენი მუდამ ხალისიანი კოტე...

აგრე სამმა წელიწადმა განვლო კიდეც

რაც სამუდამოთ განვეშორდა.

მაგრამ განა შთამომავლობა დაივიწყებს  
მისი სცენის ერთ დიდ მოამაგეს, მის ერთ  
სულის ჩამდგმელთაგანს?

და ეს არის კადეც სანუგეშო.

კოტე მესხიც იმ პირთ ეკუთვნის,  
რომელიც შეეწირნენ თვისი სიცოცხლით  
მის ქვეყნის კეთილდღებას და რომელთაც  
არ დაივიწყებს მადლიერი მოსივ სამშობლო.

### შალფა დადიანი

## უქრობი ლამპარი

(ეგ. ნინოშვილის სცენის.)

უქრობი ლამპარი ის მწერალ-მოციქუ-  
ლი, რომდღმაც ამ ოცდა სამი წლის წინათ  
დახუჭა თვალი თავის სამშობლო სოფ. ჩოხეა-  
თში (გურიაში), რომ საუკუნოდ ეშუქებინა  
ჩვენი ცხოვრების გზანი.

ეს არის ჩვენის ქვეყნის ერთი ღირსე-  
ული შეილთაგანი, უკვდავი ეგნატე, ჩაგრუ-  
ლი გულის მესაიჯუმლე.

ნიკიერი ბელეტრისტი და დადი პოლი-  
ტიკური მოაზროვნე, — აი ვინ იყო ეგნატე,  
რომელმაც დიდის შორს მხედველობით გან-  
სცერიტა ცხოვრების სიავკარგე და ჩენში  
მარქისტულ მიმართულებას საფუძველი და-  
უდო.

როგორც იდეური მწერალ-მსატვარი ხომ  
ძირფასი საუნგეა: თითოული მისი ნაწა-  
რმოები უხაზო სარკეა ჩვენის (უმეტეს გუ-  
რიის) ყაფა-ცხოვრებისა.

განსაკუთრებით ძეგარფასი მისი მოგო-  
ნება დღეს, დღეს, როდესაც მეტნაწილად და-  
მხობილია ის, რომელის მოსპობასაც შეალია  
ეგნატემ თვისი ხანპოკლე სიცოცხლე. დაე-  
მხო ძველი სულთმხუთავი თვითპურობელური  
წესი, უნდა მოისპოს საზოგადოებრივი უს-  
წორმასწორობაც—სოციალური უსამართლო-  
ბაც, — რომ ეგნატეს სულმა საფსეით მო-  
სვენოს.

ჩვენი დემოკრატია მუდამ მადლობით  
შოთხენიებს თვის გათვითურობიერების ერთ  
მოციქულთაგანს, ეგნატეს, რომელიც ამ  
დემოკრატიისათვის დადნა.

დადიან, მაგრამ ის უქრობი ლამპარია!

თოსებ იმუდაშვილი

## ქრომის სამეფოში

(გაველება იხ. „თ. და ც.“ № 20.)

ნოქარმა ოლია ერთ მდიდარ ოჯახში მოსამსახურედ დააყენა უწინ ძლიერ მორცევი ილია თ. ნ და თან შეეჩია ტუკო იჯახს. შეეჩია ბატონისაც და მსახურობდა სინდისიერათ. დილიდან შუალამემდი ფეხზე იდგა და შეუსვენებლივ ტრიალებდა. ოლიას ქალბატონი კი უხასიათო დედაკაცი იყო. უყვარდა მოსამსახურების წყრომა წდა გინება, მარა ოლია იძულებული იყო ეტანა ყოველივე.

სოფელს მოშორებული ილია პირველ ხანებში სულ ფიქრებში იყო გართული. ავონდებოდა დედა, და-ძმა, თავისი ციფი, უსფთავო ქახი და ლამაზი სოფელი, ძლიის დროსაც ამ მოგონებაში იყო და ხშირად სტიროდა ის, მაგრამ გაიარა დრომ, მოგონებები შემურღა, შეეჩია თავი ქალბატონისაც, ქალაქმაც თავისი გავლენა მოახდინა მასზე და, მიუხედავათ მძიმე სამსახურისა, ისიც და-მორჩილდა ბედს...

პირველათ ოლიას დაუნიშნეს თვეში ორი მანეთი და საქმელი-სამელი, მხოლოდ ქალბატონის ცუდი მოპყრობა მას აწუხებდა და მიტომ ქალბატონი ოლიას აღრე შესძულდა, რაღაც მისიგან ერთი ტკბილი სიტყვაც არ გაუყონია.

— მათ ზოფერება კი არ უნდა, არამედ ცემა-გინებაო-იტყოდა ხოლმე მოსამსახურებზე ქალბატინი.

— რა დღეში ჩივარდი... — ხშირათ ამბობდა ოლია და ცდილობდა როგორმე სხვაგან ეშვენა ადგილი.

რამოდენიმე თვემ გაიარა მას შემდეგ, რაც ოლია ქალბატონთან მსახურობდა. ამ ხნის განვილობაში მან სხვა მოსამსახურე ქალებიც გაიცნო და, ასე თუ ისე, ახალ ცხოვრებაში ჩაება.

ის ოჯახი, სადაც ოლია მსახურობდა ეკუთნოდა ერთ ქალაქის მოიჯარდრეთაგანს, რომელიც დიდ შეძლებულ კაცად ითვლებოდა მთელ ქალაქში. თვით მამაკაცი ნაკლები სტუმარი იყო იჯახის, რაღანაც სხვა და სხვა საქმებზე დადიოდა. სამაგიეროთ მისი შეუდ-

ლე ასრულებდა ყოველივეს; დებულობდა სტუმრებს, დადიოდა თეატრში, კლუბში და დროს შესაფერათ ატარებდა. ოლიას კი მოსვენებას არ აძლევდა მუდმივ საქმე, რაღაც აც უშერეს დროს მის ქალბატონთან სტუმრები იყო, თამაშობდენ კარტს, ლოტოს და ხშირათ ქეიფობდენ. პირ იქით ზოგი სტუმარები სხვა ნაირი თვალით უყურებდ. ქალბატონიც ხშირათ უწყრებოდა და აგრძებდა... ქალბატონს შვილებიც ყვადა, მაგრამ სუყვილანი რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში უმაღლეს საჭავლებელში სწავლობდენ...

ერთ საღამოს ოლიას ქალბატონი კლუბში წავიდა დროს გასატარებლათ, მზარეულმა აღრე დაიძინა, ეხვა მოსამსახურენი კი, რაკი ქალბატონი არ იყო სახლში, იქით-აქეთ წავიდენ... მარტოთ დარჩენილი ოლია ფიქრებში გაერთო და ტახტზე მიწოლილს ის იყო ეძინებოდა, რომ ამ დროს კარებიდან მოისმა ზარის ხმა. ოლია შემკრთალი მივიდა და კარი გააღო. სასტუმრო თახში შემოვიდა სტუდენტის ფორმაში გამოწყობილი, ასე ოცდა ხუთი წლის ყმაწვილი.

ეს ყმაწვილი ხშირი სტუმარი იყო ამ ოჯახში. მას სტეფანეს ეძახოდენ. სტეფანე მდიდარი ვაჭრის შვილი იყო, რამდენიმე წელი უმაღლეს კურსებზე გაატარა, მხოლოდ კურსები არ დაუსრულებია, მიატოვა უნივერსიტეტი და დროს ატარებდა თეატრებში, კლუბში, ყავახანა-რესტორანებში. სტეფანე შემოსვლისთანავე ეტყობოდა, რომ შეღვინიანებული იყო.

— ქალბატონი სახლშია? — ჰკიოხა მან ოლიას.

— არ გახლავს ბატონო: — უპასუხა ოლიამ.

— სად წავიდა?

— არ ვიცი.

— როგორ თუ არ იცი! — ხმა მაღლა შეეკითხა სტეფანე ოლიას და ხარბი თვალებით გადახედა.

— არაფერი უთქვაშ.

— როდის მოვა?

— არც ეს ვიცი.

—ოხ, ოხ, ოხ,! —ჩაილაპარაკა თავისათვის სტეფანემ და იქვე სავრძელზე ჩამოჯდა. ზის და შესცერის ოლიას. ცოტა ხნით დარბაზში მყუდროება გამეფდა.

—რა გვარი ხარ გოგონა? შეეკითხა სტეფანე, რამოდენიმე წუთის შემდეგ ოლიას.

—მე ბატონო ჩაგრულაძე!

—გლეხი?

—გლეხის ქალი.

—რას გეძახიან სახელს?

—ოლიას.

—სტეფანე კლავ გაჩერდა და შეცერის. ოლამ უკან დაიხია და ნელი ნაბიჯით მეორე ოთახში გავიდა.

—რისთვის არ მიღის ნეტა?

ცოტა ხნის შემდეგ სტეფანე აღდა საფარდლიან, დარბაზში სიარული დაიწყო და თან დაბალი ხმით სიმღერა. დადის და მღერის. ოლია კი დაფიქრებულია.

—მაშ, არ იცი, ოლია, როდის მოგაქლობატონი? —ხმა მაღლა შეეკითხა ოლიას, სიმღერის გათავების შემდეგ მეორე ოთახში.

—არ ვრცი ბატონო! —უპასუხა ოლიამ.

—სტეფანემ კვლავ ნელი სიმღერა დაიწყო და ოლიას ოთახში გავიდა.

—რა მშვენიერი გოგონა ხარ!

—ოლია შეკრთა და განზე დაიწყო ცქერა.

—შემომხედე!.. რამ შეგაშინა, ჩემო ოლია —ტკბილი ხმით უთხრა სტეფანემ და მიიწია ოლიასკენ.

—ოლიას ფერი ეცვალი. მოწყენილობა დაეტყო.

—ნუ გეშინა!.. აი ფულიც... —განმეორებით უთხრა სტეფანემ და ჯიბილან ფულიც ამოილო.

—ცუდებით ბატონო! —ხმა-მაღლა გასცა პასუხი თლიამ.

—ეს გოგონა, არაფერია, ფულს მოგცემ, ჩემთან გაცხოვებ, აი წაიღე ფული!..

—იქით გაიწით! შესძახა ოლიამ და უკან დაიხია.

—ხო, მოცა! . განა ხამი ხარ?

—მე თქვენ ნასწავლი კაცი მეგონე და ჩემი შეურაცყოფა გწადია?!

—არა, პირ იქით მიყვარხართ... აი ფული!

—მომშოდით ბატონო! არ ვიცი ვინა ხართ!

—ფული, ფული წაიღეთ, შენც დასტკბები!

ოლიამ თვალები გადაატრიალა და ყვირილით შესძახა:

—გთხოვთ ბატონო მომშორდეთ, თორემ ვიყვირებ.

—სულელი ხომ არა ხარ, განა ჩემს უკეთეს ვისმეს ნახავ?

—გთხოვთ ბ-ნო წაბძინდეთ!

—მოიცა, დამშვიდი!.. შენ არ იცი რა პატივს გცემ: წაგიყვან ჩემთან, გაცხოვებ, გაგართობ.

—არ მინდა... გთხოვთ...

სტეფანე თან და თან აღელდა და ოლიასაკენ გაიწია.

—ფული, სიტკბება, ჩემო გოგონა! სტეფანემ თავზე ხელი გადაუსვა.

—იქით —დაიყვირა ოლიამ და ის იყო უკან უნდა დაეწია, რომ სტეფანემ სტაცა ხელები და შემოეხვია.

—იქით! —კვლავ დაიძახა ოლიამ და დაიკივლა. სტეფანე შეკრთა, ხელი გაუწევა და მეორე ოთახში გავიდა.

—ეს, რა ყოფილა ვრდაცაი! —ამოიხრა სტეფანემ. ქუდი დაიხურა და სიჩქაროთ გარეთ შიიმალა. შეშინებული ოლია გონს მოვიდა. მან, მიუხედავათ გამარჯვებისა, მთელი დამე ცუდათ გაატარა. სტიროდა, დაწვა, მარა მა მას მოსვერდას არ აძლევდა მთელ დამეს, უშნო შეუბრალებული სახე.

მეორე დღეს ოლიამ ეს ამბავი თავის ქალბატონს უამხო დარცხვენით. ეკონა, ქალ ბატონი იმ კაცს პასუხს მოსთხოვდა, მარა ეს ასე არ მოხდა. ქალბატონმა, როგორ თუ ეს მოუგონე ასეთ პატითსან კაცს და ჩევნის ოჯახის მეგობარსო, წაატანა თმაში ხელი და ცცემა.

გავიდა დრო. ოლია მოშორდა იმ ოჯახს, სადაც სამსახური ლან ძლევა-ცემაში გაატარა. რა. აგრეთვე მას ძლიერ შესძულდა მოსამსაგურობა და სწყევლიდა იმ დღეს, რა დღესაც იმ ოჯახში მივიდა.

შისამასახურობის შექმდებ ოლიით თავისი ნაცნობ ქალთან დაბინავდა, რომელიც მან გაიცნო ბოლოს ხანში და რომელიც თუთუნის ქარხანაში მუშავობდა. ადგილის შოვნამდე, ოლიობ თროვებზე მეტი გაატარა-უადგილოთ. ამ ხნის გამავლობაში ნახევრათ მშიერი ისე ცხოვრობდა მხოლოდ უიმედობას არ მისცემია. ბინაზე მის ნაცნობ ქალთან და ბოლოს,

როგორც იქნა იშვიერა ადგილი თუთუნის  
ფაბრიკაში. ქარხანაში პირველად შეიღი ზა-  
ური დაუნიშნეს დღეში. იქ კი ოლია გაეც-  
ნო სხვა მუშაქალებს და შეუდგა შათთან ერ-  
თაღ შრომა-კხოვერებას...

a. ଶିଳ୍ପିଶକ୍ତିରେଣୁ

(გაგრძელება იქნება)



**ბენია ჩენკვიშვილი (ქადაგსაინი)**  
გურიის მთხოვნელის ბეჭედი თავისი აშხანაგებით ციმბირდეს. სამშაბლოში დაბრუნდა.

ციხეში მულთ რუსეთის ძველ მთავრობას,  
ციხეში ნამყოფ პოლიტიკურთაგან

მტარებალნი! ახლა თქვენ ნახეთ  
რაც არის ციხის ცხოვრება,  
დაგვილოუნია აშ თქვენთვის  
მანდ ყოთნა, წოლა-გორებება

ერთ ლუკებია პურსა ჩვენც გატმევთ,  
კიშოვნით, მოგვეპოვება,  
მდიდრულად თუ გერ გატხოვროთ,  
რა ღაყით, მოგვეტივება!

କ୍ଷେତ୍ର ସିମାରତଳିରୁଷତ୍ତ୍ଵରେ ଗୋପନୀୟ,  
ଶ୍ରୀଅଞ୍ଜଳିର କୋଣରେ ଗୋପନୀୟ,

გვსურდა ყველასთვის მიგვეცა  
უფლება, სწავლა, ქონება!

თქვენ-კი ამაზედ ცოფს ჰყრილით,  
ბევრი გვარეუნეთ წვალება,  
გისრულდებოდათ ყოველგან  
ბრჩა მსახურობაან ბრჩანება!

თქვენ ააშენეთ ეგ ციხე  
თქვენ შეჰქენთ ჩაგვრა, მონება,  
და თქვენავე გტანჯავლესთ  
თქვენივე გამოგონება!

Digitized by srujanika@gmail.com

## გუშინდელი

გარძელება „თ. და ც.“ № 20

1

საჭარე დადგენულ საქართვით თა ბიჭს  
შემოჰკეუს დაგრძლილი გენერალი ბერძოსანი.  
სცენის უკა-გულ დასდგამნ. ბიჭები უკან მის-  
დგებიან. ამავე დროს შემოვლენ მაღხაზ, კუ-  
კელა, პატუნა, ჯიბო, კოწია და გლეხები.

კნ. ჩიტ. აი, ბიძია, გაიცანი ჩვენი მაზ-  
რის ახალი უფროსი გრენალმ...

გენ. აპა... очень радъ...

მაზ. უფ. Я очень извиняюсь, князь...  
ваше превосходительство... тქვენ როგორ  
გაგსარჯეთ... პირ-იქით უნდა გხლებოდით...  
პირდაპირ სიტყვებს ვერა ვპოულობ თავის  
გასამართლებლად...

გენერალ. არაფერია... Что за сче-  
ты... (იგანებს) Гренгольмъ... грен-  
гольмъ...

კნ. ჩიტუნია. უკაცრავათ, ბიძია, ეხლა  
კი მარტო დაგტოვებთ... ხელს არ უეგიშ-  
ლით საუბარში... წამობრძანდით, ბატონე-  
ბო...

გენერალი. (შენიშნავს კეკელას) აა, კე-  
კელა-ქალო... გამარჯობა შენი,.. (კეკელა მი-  
ლის ხელს ართმეუს). უგელანი ასე იქცევინ, ვი-  
საც კი მიმართავს) აა, შეცულლუტო კოწია...  
როგორა ხარ?... მაღხაზ, ჩვენი მამისახლისი?..  
გამარჯებათ, უმარტილებო!..

უფელანი. გამარჯვება, ბატონო, ღმერ-  
თმა გაცოცხლოს...

გენ. სხვა, როგორა ხართ?.. რა? ვერა-  
ვის ვედარ ვხედავ... გარეთ ვერ გამოვდი-  
ვარ. ეხლა დღეს გამოვიარე და მეწყინა...  
ცუდი, ძლიერ ცუდი ყანებია...

ჯიბო. კი, ბატონო, ნამეტანი წვიმები  
იყო და... დალეშტრა, ბატონო, დალეშტრა...  
გენ. ოო, ძალიან ცუდი მოსავალი

გვექნება, ცუდი...  
კნ. ჩიტ. აა, ეხლა ხელს ნულა შეუშ-  
ლით...

(ანიშნებს რომ წავიდნენ. უკეჭანი გაიკრაფე-  
ბიან გარდა გენერალის, შინი თან ბიჭისა მაზ-  
რის უფროსისა და პრისტავისა, რომელიც მთ-

შორებით გაჭიმული დგას, მოისმის შიმაგალ  
ჯიბოს ხმა:

„ეს კი ეტყვის მართალი... თუ კვე-  
ველა, ახლა გვეშველა აა“

მორე ხმა;

„ჩუმად, ჩუმად!..“

გენ. (უხესხედი სიხემის შემდეგ) დაა..  
Гренгольмъ!.. რალაც მახსენდება... ჰო,  
მართლა, ჩენის პოლკში იყო ერთი გრენ-  
გოლმი შტაბ-აფიცირათ.

მაზ. უფ. (გაჭიმული დგას) უკაცრავათ,  
ბატონო, ეგ მამა ჩემი არ გახლდათ...  
გენ. მაშ მამა თქვენი?

მაზ. უფ (უჭირს თქმა) იხ ცილარ კა-  
старыхъ кантожистовъ... უანდარმათ გახ-  
ლდათ თბილისში...  
გენ. (სიტყვას მნიშვნელობას არ აძლევს)  
ახъ.. და... ეს ქართული საიდან შე-  
გისწავლიათ?

მაზ. უფ. თბილისში გახლავართ დაბა-  
ლებული და გზრდილი... დედაც ქართველი  
ქალი მუავდა.  
გენ. და... და... Значить, вы не изъ  
дворянъ...

მაზ. უფ. (თითქო რცხვენია, უჭირს თქმა)  
და... იხ...  
გენ. საღ მსახურობდით წინეთ უმაშვილო?  
მაზ. უფ. Я служилъ въ Тифлисѣ,  
по полицейской части...

გენ. ახъ და.. ეგ თქვენ იყვით?..  
Околодочный надзиратель... ჰო, თავი  
გამოიჩინეთ რევოლუციონერების დაკერ-  
ში... წამიკითხავს გაზეთებში... წამიკითხავს...  
მაზ. უფ. ლიალ... მე...

გენ. იუ რომ აქაურობა?  
მაზ. უფ. იხ იმ ვიზუალის ვიზუალის...  
ვაშ, უფ, იხ იმ ვიზუალის ვიზუალის...

მაზ. უფ. ლიალ... მე...  
გენ. იუ რომ აქაურობა?  
მაზ. უფ. იხ იმ ვიზუალის ვიზუალის...

გენ. მონაცემის მიხედვის მიხედვის  
თვალით შეხედეს. სიტყვას შემომა-  
ძერებულის და ათამაშებს) Восторгъ? (ცოტა სას-  
ტაცია) Восторгъ.

მაზ. უფ (მთლიან გაიჭიმება).  
გენ. ჰო, მართლა! რა მინდოდა თქვენ-  
თვის მეთქი?.. (სიხემი) ჰო... უმაშვი-  
ლო დიდი ხანია მე ნათხოვნი მაქვს. დამ-  
ტებითი პენსია უნდა მოეცათ... მართალია,  
ეს თქვენ არ შეგეხებათ, მაგრამ...

გაზ. უფ. Слушаюсь ваше превосходительство...

გენ. პო და არა ვითარი პასუხი ჯერ არ მოსულა... а впрочемъ... ეგ რა ორ- დენი გაქვთ?

გაზ. უფ. Льва и солица, ваше пре-  
восходительство...

გენ. საიდგან?

გაზ. უფ. თუ ილისში რომ რო გახლ-  
ლით, სპარსეთის შუა ჩამოიარა და სხვა  
შორის მეც მაჩუქა

გენ. (ამთქნარებს) აჯ და, და!.. Ну, ბიქ-  
ბო... (ბაჭები დაიძვრებან) ბევრი ისაუბრეთ,.  
Очень радъ, очень!..

გაზ. უფ. Радъ служить ваше прево-  
ходительство...

გენ. მაშ ნახემდის...

პრისტავი (შინა თახებისაჲენ გაექნება,  
გასძა ხებს) ბატონებო გენერალი მიბანდება  
(შაზრის უფროსი გენარალს ხელს აძლევს ბი-  
ჭებო საჭარეს ასწევენ).

—○—

კნ. ჩიტუნია. ფაცია.

კნ. ჩიტ. ბიძია, მიბრძანდები კიდევ?

გენ. დიაბ ჩემო შვილო დავიღალე...

ფაცია. ბატონო, სადილი მაინც მიგერ  
(ომიათ... გასძახის) მალხაზ, კეკელა...

გენ. არა, არა, შვილო.., სულ ერთია...  
დროით თქვენ უნდა გაატაროთ...

—○—

გალ. (შემთხბის). რა ამბავი, კნიაზ რაზე  
გაგვიწყერით?

გენ. როგორ გაგიწყერით, მალხაზ!..  
დავიღალე... ბევრი ვისაუბრე და...

გალი. გაგიბედო დაკავება... მაგრამ  
გვირგვინს კი დაავადგამდიო...

გენ. არა არა გმაღლობთ.. ნახვამდის,  
უძარვილებო Ну ребята, ведите старика.  
(ბაჭები ასწევენ და მიაქვთ)

—○—

კრი. (გამორჩის) უიმე, ღმერთო კი მო-  
მკალი!

მალი. (ანიშნებს და შეჩერდება)

გენ. ნახვამდის, ნახვამდის, ბატონო...  
(კიბეზე ჩაცილებენ გენერალს სცენაზე ისლიდდ  
შაზრის უფროსი და პრისტავი რჩება

გაზ. უფ. Ну слава Богу слава миновала.

პრისტავი ეხლა კი გადატანით...

გაზ. უფ. Вотъ! Какой он дуракъ  
ჰა, ჰა ჰა!

პრისტავი (ტურქული ხელს მიიღებს, ანი-  
შნებს ჩუქად იუს) Княгиня...

—○—

კნ. ჩიტუნია. ფაცია.

კნ. ჩიტ. ეხლა რას იტყვით ედუარდ  
ერაზმოვიჩ? ხომ მოგეწონათ ჩეენი გენერალი?

გაზ. უფ. აх, одинъ восторгъ, княгиня...

ფაცია თქვენ როგორ ყველაფერზე აღ-  
ტაცებული ხართ?

გაზ. უფ. როგორ არ ვიყო აღტაცე-  
ბული! მშვენიერი ბუნება, მშვენიერი ადამი-  
ანები და მათ შორის მომხიბლელი კნეინა  
და თქვენც იზაჟная княжна...

კნ. ჩიტ. ციც, ედუარდ ერაზმოვიჩ, არ-  
შიყობა არ იყოს!..

გაზ. უფ. მე მხოლოდ სინამდვილეს მო-  
გახსენებთ, კნეინა.

მალი. (საჩქართ ამოდის კიბედან) აბა  
ეხლა კი მობრძანდით... სადილი მზათ გახ-  
ლავთ.

კნ. ჩიტ. ოო, ეგ მშვენიერება... დროც  
არის სწორედ.

მალი. მოგამშეით, ბატონებო, არა?..

გაზ. უფ. არა, არა... Что вы?

მალი. იმედია არ გამიშურებით ჩემს ღა-  
რიბულ სუფრაზე...

ჩ- ჩიტ. ჰო, კარგი ეხლა, ვიცით შენი  
პურ-მარილის ამბავი... ჩუს პიემთე,  
ედუარდ ერაზმოვიჩ... (შაზრის უფროს ხელს  
ბაჭების და მიაქვთ).

გაზ. უფ. Пойдемъ, пойдемъ княгиня.

მალი. აბა განაცვალე, ფაცია.

პრისტავი (მიდის. ამ დროს ფაცია და-  
ძერის. პრისტავი წინ გაუშებს ფაციას).  
Пожалуйста, княжна...

ფაცია. მერსი.

(გადიან უველანი. სცენა ცოტა სანს ცალიერია)

(შინა თახებიდან გამოდის „უფლოდია“  
და ამავე დროს გიბიდან ამთავა ქილოტოდება. ერთი  
შეზრეს შეავეთებან და შედგებან).

„ფოფ“. (კოპტიაობით) ვის ეძებ?

**ქილორდ.** (მეგრულათ) მუჯომი ჯგირი  
რექ. გოლიაფირო! \*)

**ფოფ.** (გერ გაიგო რა სოქვა, მაგრამ ინ-  
სტიქტიურათ შაინც წითლდება) რაო, რა სოქვი?..

03

**აგრაფენა:**

„ფოფ.“ ოპ, აგრაფენა... შენ გენაცვა-  
ლე. — (აკოცებს).

**აგრაფ.** (გააგირებული) რა იყო? რა ამ-  
ბავია?

„ფოფ.“ (ეშმაკურათ ჩაიცინებს) არაფე-  
რი. წავიდეთ სისაძილოთ.

(მიღიან „ფოფთდია“). თაქს მთაბრუნებს და  
ქოლორდნაში თვალს დაუქნები)

**ქილორ.** (გაშტერებულია ცატა სინს.  
შემდეგ მთსისლტება ადგილიდან და კაბეზე დაგ-  
მგება). ფ ა რ დ ა.

**შალვა დადიანი.**

(გაგრძელება იქნება).

## ს ა ლ ა მ ი ძ მ ა რ!

სალაში ძმაო! ხელი მოშეცი, მკვდრეთით აღმდგარი გულში ჩაგიკრა,  
სიო მოგბერო დათალხულ გულზე და წარბ-შექმუხვნილს, წარბი შეგიხსნა.  
მოშეცი, ძმაო! ნულა აყოვნებ, გამომიწოდე მეგობარს ხელი.  
მსურს გადაკოცნ და მოგილოცა თავისუფლება ხუნდის ამყრელი“  
რად გაიკვირე რამ გაგაოცა? რად აგრე იჭვის თვალით მიყურებ?  
მახარობელი ბეჟკრულთ აღდგომის, ნეტავ წმიდა წუთს როგორ ვიცურებ!..  
აი შეხედე!.. წითელი დროშა მთის ქეჩოზედა როგორ ფრიალებს,  
ტანჯვით შვებულნი, ტანჯულთ კრებული როგორ შეხარის. როგორ გრია-  
ლებს.

ა იქ კლდის წვერზე, სადაც არწივი ქვეყნის მცყრობელი დანავარდობდა.  
სადაც ამაღლა გარს შემორტყმული ხალხისა სისხლით მეფეს ათრობდა,  
სადაც ზეიშსა თოფ-ზარბაზნები ქექა—ქუხილით იმეორებდა,  
დღეს მებრძოლ მუშას შეკრდ გადაღელილს წითელი დროშა აღუმართნია,  
მეფე არწივი სვავ-ქონებითა გმირული ხელით დაულახვრია...  
მოშეცი, ძმაო! ნულა აყოვნებ, გამომიწოდე მეგობრის აელი,  
სიხარულისგან ქუა მეშლება, ლამისა გაეხდე სულელი მხელი.

**გ. დათიაშვილი.**

# არც მატიანე—

## —არცთუ სტორია

შე-II თავს უნდა ჰგავდეს.

ლევან მყვირალის შახიობობის გარდა დრამატურგობის უნარიც ემჩნეოდა.

ქალაქ ქ—შივე, ეგრეთ წოდებულ პოლიციის ქუჩაზე (სახლი არ მახსოვს ვისი იყო) მის ახლად დაწერილ პიესს გთამაშობდით.

რასაკვირველია მთავრობისაგან არავითა-რი ნებართვა არა გვქონია.

უკვე წატმულ-გამოწყობილები ვართ და ბაეშურ სახეებზე ქალარა წევრ-ულვაშები რომ გვაკრაბე (შრეშით) ვიდაცამ დაიძახა: „ბოქაული მოდისო.“

თავ-გზა დაბნეული ზოგი ფანჯრიდან, ზოგი კარებიდან, ზოგი აივნიდან (სახლი კი-დევ ორ სართულიანი შეგვხელა) გავრბიართ.

ქუჩაში ბაეშეები და მექორე დედაკაცები (კიშკრებთან რომ იღვნენ) დაგვეღვენენ და ყიფინა დაგვაყარეს.

თურმე ტყუილ-უბრალო აურჩაური მო-სდა.

ბოქაული თავის საქმეზე მიღიოდა და შემთხვევით ამოებინა ჩვენს ქუჩაზე.

გადაერჩით.

წარმოლდენაზე მოსულ მაყურებელებში შეგვატყობინებს: მოდით, წარმოლდენა დაიწყოთ.

ჩვენც შეუდექით წარმოლდენას და ჩავა-ბულქეთ. დრამატურგ ლევანის ტრალედია.

ყოველ მოქმედებაში ორ-ორი კვდებოდა.

უკანასკნელ მოქმედებაში ვიდაც ახლად მოკლული უნდა შემოეტანათ. დავდევით ხა-კაცეზე და საბანგადაფარებული შემოვაქეს.

მაგრამ კარები საკაცეზე ვიწრო აღმოჩნდა. გაეჩირთ.

ზაყურებლებიდან ვიღაცამ დაგვიძახა: „უგვირდულეოთ. დავაყირავეთ საკაცე და ჩვენს მოკლულმქმედ პირს იატაკზე ბრაგვნი მოსხრა.

ვი დედავო, წამოიძახა „მკვდარმა, რომელსაც თავზე სამოქალაქო სკოლის მოწაფის ქუდა ეხურა.

პიესის მიზედ „კი ვიღაცა მოსუცებული

თავადიშვილი უნდა ყოფილიყო) და ლრია-ლით აივანისაკენ გაეშურა.

დაგვაყარეს სიცილი.

გავიდა ხანი, უფრო დავხელავდით, ასე რომ ტრისტული მოგზაურობაც დავიწყეთ პროექტიცებში.

სამტრედიაში ვართ.

ვახასიათებთ გულისაშვილის პიესას „ტრიი მეფობენ.“ სცენაზე ვიღაც ადგილობრივი სცენის მოყვარე ქალი და ლამზი გრიშა-გიტარისტი.

სიყვარულის ახსნის სცენა.

გრიშა-გიტარისტი იჩიქებს, ქალს ხელებს უჭერს და თავისაკენ მიიზიდავს, მაგრამ ამ დროს „პონტრერის“ ჯიშის ძალლი პარტერილა შემოიტრება და ფეხის კუნთში პირსა სტაცებს მოარშიე ლამაზ გრიშა-გიტარისტს. თურმე ძალლი ამ სცენის მოყვარე ქალისა ყოფილა და ისეთ ნაირათ დაგვეშილი რომ მასთან არავის არ უშევებს.

კულისებში და ხალხში ჩოჩქოლია,

უცელაზე უფრო მოსაზრებული ჩვენი კომედიების რეჟისორი ხირხიპოლე აღმოჩნდა. რეკვიზიტიდან აიღო ქათმის ბარკალი, გააღო სცენის შუა კარი და წრუპუნით გაუშვირა ძალლს. ასეთი ოინით ძალლი კულისებში გაიტყუეს და ფერ დაკარგული და თავ-გზა დაბნეული გრიშა გიტარისტი გადარჩა დაფლეთს, რომელმც სამუღამოთ უარი განაცხადა მოარშიყე როლების განსახურებაზე.

ასე და ამ რიგად ერთი მეორის შზგავსი რამები ბევრი იყო ჩვენს არც მატიანე—არც თუ ისტორიაში.

უკანასკნელი და უფრო საგულისხმიერო შოხდა ჭიათურის სცენაზე, რომელშიაც მონაწილეობას დებულობდნე ჩვენი სცენის მოყვარეთა ჯვუფის გარდა, თეატრის ნამდვილი პარტენიანი მსახიობები, რომელნიც ზოგი იმათგანი ეხლა უკვე დამსახურებულები არიან.

ამ ხანად დროებით „წყვეტ“ ვაკეთებს, ერთი ჩვენებური ფილოსოფოსის არ იყოს, და შემდეგ განვაგრძობა..

განო ბარეველი



შალვა დადიანი („მიღვიმეში“-ს ავტორი)  
ელი ანდრიანიკაშვილი (შიესის დამდგმელი)

## საგულისხმო წარმოდგენა

ქართული თეატრის მსახიობ-ქალი ელი ანდრიანიგაშვილს განუზახახეს მომავალ 29 მაისს სახელმწიფო თეატრში (წინანდელი სახაზინ) წარმოდგენის შალვა დადიანის შიეს „მიღვიმეში“. წარმოდგენიში უმთავრეს როლებს ადასრულებენ ქ. დავითაშვილი ბ. იმედაშვილი, შალავაშვილი, გამერელიძე, გრევანოვი და ახალგაზის მსახიობი ქალი ცაცა ამირეჯიაძე. შიეს 1905 წ. აის დაწერილი და თაოქმის მას შემდეგ არ უთვილესად ისეთი სეზონი, რომ ამ შიეს წარმოდგენა რეგისტრაციას განზრახვდი არ ჰქონდეს, მაგრამ სხვა და სხვა შიზე დების გამო, ჯერ აქმოდე ბიეს არ უხილავს რამპის სინთეზე. უმთავრესად კი ის აპროდენდა, რომ ბიესისათვის საჭარა განსაკუთრებული დეკორაცია და მორთულობა. ამ შემთხვევაში დასდგამს თვით ავტორი, რომელსაც გადაწევერიდა აქვს, რომ ანტიურ მორთულობაში იქმნეს ბიესის შინაარსი განსაზიერებული და შესაფერ დეკორაცია გამოუძინაა ხსენებულ თეატრში. გასცეც ბიეს წაკითხული აქვს გადმოგვცემენ, რომ ნებარშეები სურათობია და სასტენო ეფექტებით აღსასეს. შინაარსად კი აღებულია ფინანსური სამეფო, რომელსაც შეუ არ აქვს, მდგარებია მოთავსებული და ამის გამო ბრძოლა განვითარებული სადაც და მის შთავრთბას მორის.

ბოლოს საქმე იმითი თავდება, რომ ხალხი იმარჯვებს და მეტა შთავრთბა ემსხვება.

შიეს დაბეჭდილი იყო ნ. ლორთქითანიძის კუნძულ „ცხოვრება და სელფინება“-ში ამ რამდენიმე წლის წინათ.

## ე გ ა გ ი ლ ი

(კულტური პარარა გაორას)

როდესაც ბალში ვარდის კუკური  
გაიფურჩენება და გაიშლება,  
მისი სიტურფით მიღამო ხარობს,  
თითონ მებალე რალა იქნება?..

შენც ყვავილივით იხლად იშლები,  
გიდგერს უმანკო, პარარა გული,  
ვხედავ, რომ წრფელი შრომა გწყურია,  
გიღვივის გრძნობა და სიყვარული...

მაშ ფრთა გაშალე ნორჩო ყვავილო:  
ვინც მეტადინობს, შრომობს და მხევობს,  
ის ლამპარია თავის ქვეყნისა—  
ის მშობლის გულში ანათებს, მზეობს!

მუდამ გფარავდეს ძალა ციური,  
კულაფრის შემძლე ლმერთი, უფალი:  
და რახან გიყვარს შენი სამშობლო—  
თვალით გენახოს თივისუფალი!

გიგო თემისხეველი.



# სახალხო თეატრის ისტო- რია

(მისამართი.)

ამ წელში და გამოგვიანით, როგორც  
იყო, სარჩებს ძლიერს ჰურავდნენ და წარმო-  
დებებს კა არ ახერხდნენ, რადგანაც უნდოდათ  
სახალხო წარმოდებების საქმე არ საძლილიყო.  
წარმოდებების გაგრძელდა 21 სექტემბერიდან.  
ამ წელს დაიდგა სულ 30 წარმოდებება. ამ წარ-  
მოდებებში მოემატა სენის სცენის მოევარე და  
ისე დამსახურე — ქ. ნი ა. ურული (მეუღლე იცს.  
იმედებებისა), დელაშვილი, ფავლენიშვილი, გ-  
ბეგანოვი, ბურაძე, მურმანიშვილი, უმბრივეთი და  
ბელაშვილი. ამ წარმოდებებითა რიცხვში ერთი  
წარმოდებება არიდებო დაიდგა გრძოლება-  
შვილის საიუბილე 20 წლის სცენაზე მოდგა-  
წყობის ასანიშნავდ.

ამ იუბილეზე მიუღლცეს იქაუჩიმა რუსულ დ  
სომხის სცენის მოევარეთა წარმომადგრნებება,  
საკრძალას სცენის მოევარეთაგან ზ. ღ. მა-  
მულოვა: საზოგადოების შერიც, სოსო იყანიბებ,  
ავტოლის აუდიტორიის სეციის წარმომადგრნ-  
ებებმა, ხელოსნებმა და აგრეთვე შიიდათ რამდე-  
სახურები. ბოლო ხენს ითხებ იმედებების თა-  
ნაშემწედ არჩიეს რამანთზ საღარა.

ამ წარმოდებების გარდა დაიდგა რამდე-  
ნიშე წარმოდებება სოსო იყანიბის რეკლამით.

გარდა ამისა იყო კადევ პატარა ამხანაგობა  
სცენის მოევარეთა. ეს იშვიათად სდგრიდა წარმო-  
დებების. ამ ამხანაგობაში იუგნენ: ქ. ნი ჩერებლო-  
ვი და ნინა საევარელიძე ბ-ნა მირველოვი, ჭა-  
გახვილი, მშედლიშვილი და სხ.

ასეთი იყო სცენის მოევარეთა ამხანაგობა  
და სახალხო წარმოდებები მურაშენის თეატრში.

ამავ წელს კ. ი. 1903 წ. ენერგიის ფესტ-  
იანშიმოგმა თავის სახლებში, აფასტონის შეიძლე-  
თან. მათწერ თეატრი, რომელიც ერგებ მხრი-  
დან რიგანათ იყო გამართულ და იფარით გა-  
დასხვა სამებთა სსხსითბს არ ქვისაც. იღბებო-  
და სომხერი წარმდებები, კვირაში ერთხელ  
ქართული ღრამატული საზოგადოებაც მართავდა  
წარმდებების 5—6 წარმოდებების შემდეგ ქართ.  
დრომ. საზ ბამ შესწევისა წარმოდებები, რად-  
განაც საღა ხაკლებათ დაითვა და გოგოა

წარმოდება ზარალს აძლევდა. იშ ღრის ტელემა  
სცენის მოევარებების მთანდომეს საცდელათ რამ-  
დებით წარმოდებების დადგა. მართლაც გამსართვს  
თრი წარმოდებება, რომელზედაც საფლა გაცილე-  
ბითი შეტე დაესწრო.

ამიტომ ბ-ნია არაქსიანება მიაწერა ეს სცე-  
ნის მოევარენი, მოურიგდა თეატრის ფასში.  
სცენის მოევარენი დასთანხმდნენ და 2 იან.  
1904 წ. დაიწეს წარმოდებების მორთვა. ამ-  
ხანაგობამ გამოიკინა მთარჩნია ბეჭედ ფარუშიანი,  
რეკლამის ისეუე ითხებ იმედაშვილი (სრულიად  
უშრომისფასდ). მურაშენის თეატრის მაგიერ  
ახლა ამ შეუდგნენ საქმეს. ზემოთ სსენებულ  
სცენის მოევარეთა გარდა მოემატნენ: ქ. ნი ბუ-  
რეგური, ბ-ნი. ჭაბლაძე, ლოლაძე, უმბრივეთი,  
ივანე მარკოზიეთი, დათოვა შეაბებილი, შრო-  
მიშვილი, მაკაროვი, ბილეთების ფასი სადამთს  
წარმოდებების 80 კაბ. 10 კაბევამდნ და და-  
ლის 40 კ.—10 კ. დაიდგა სულ 30 წარმოდებე-  
ნა. ამ წარმოდებების შემთხვევაში ხარჯების ეკრა  
ჰუნტავდა და სცენის მოევარების თითოეული უნდე-  
ბოდათ ამ ზარალის თავიანთ ჭაბიძენვე გას-  
ტიშვილება.

## გ. ჯაბაშვილი.

ბათომის არკინის თეატრში მასის 8  
წარმოდებინების იუდას მემკვიდრე“ მონაწილე-  
ობდნენ: ქიქაძე, ვალეგიარია, ა. ჩეკიძე, იმ-  
ხნელი, გელოვანი, ს. წუწენავა და გუბაშვილი  
წარმოდებების გარეთ ჩაითა, განსაკუთრებით  
უკანასკნელმა მოქმედებამ. ხალხი ბლობათ დაე-  
სწრო. მასის 9 წარმოდებინების უდლენი ჩვენი  
ცხოველებისა წარმოდებების რაღაც სიზარტე ეტ-  
ეკობოდა. წარმოდებები გერ მოახდინა შესაფერი  
შთაბეჭდილება.

ხალხი ქართულ წარმოდებების ბევრი ესწ-  
რება. ეს იმის დამამტკიცებელია, რომ ხალხს დადი  
სურვილი აქვს წარმოდებების ურების. სასურველია ბათომის ესტუმინენ ჩვენი სახელი-  
ანი მსახიობინი.

## გ. ხონევლი

## წვრილი ამგები

ჩართვებულ მსახიობთა კავშირის საგაობრივო დაფინანსურის უფლების მინა გაუჩინოს ქართულ წარმოდგენებს და ამისათვის სელა-ალა იშუამდგომლოს კავკასიის უმაღლეს კომისარიატთან, და ქართულ წარმოდგენებს კინაში თითო დღე მანც დაცორო სახელმწიფო თეატრისა, აგრეთვე იშუამდგომლონ სახალხო თეატრის და ახალ კლუბის მამასახლისებთან დღეების დაომიმაზე. ზოგი შეამდგომლობა უკვე აღმრულია.

თბ. და. სახ-8, როგორც კეთებელს მოქსენება ახალ კლუბის მაჟას-ხლისთ სპეციალურობით შენაბა გადაეცეს მათ სამი წლით სრულ ად უსასყიდლოთ, იმ ჰირობით, რომ დრ. საჩ.-მ თავის სარჯით სათანადო შეაკეთოს თეატრის დაბაზი და სცენა. ეს საკითხი ამ კინაში გადაწყდება.

შსახიობ მა. კაშარის საბჭომ გადასწყვიტა, უკეთ წრეულს ზამთარს ქ. თბილის შესაფერ ბინას ვერ იშოვნ-ს ქართულ წარმოდგენებისათვის სრულიად აღურებალოს თავის პროფესიონალ — წევრებს, — ქართველ მსაპიობთ — საკულტო სეზონების წარმოება.

საავტორო პოლიტიკას შესახებ მსახიობთა საბჭომ შეიმუშავა შემდეგი აოდგნობა: ქ. თბილის, ქუთაისის ბათომს და ბაქოს ყოველ ორიგინალ პიესის პირველ წარმოდგენაზე თითო მოქმედებას უნდა საავტორო ჯილდო გადებულ იქნეა თითო თუმანი და მეორეზე რაც მანეთი და შემდეგ კი ზუთ-ხუთი მანეთი ნათარგმნ და გაღმოყენებულ პიესებზე თითო მოქმედება ედირება 5 მ. პირველად და შემდევში სამსამი მანეთი. სხვა დაბა — ქალაქებისათვის პონორარი ბეჭათ დაკლებულია. ამ პონორარს გადაახდევინებენ ყველა წარმოდების გამმართველთ და გილობრივი, განაკუთრებით ამისათვის დანიშული აგნტები.

ახალი პიესა შალვა დადიან სა „მდგომები“ ელო ანდონიკაშვილის თ. იანობით წარმოდგენილი იქნება სახელმწიფო თეატრში მასის 29.

დაღმ. დარჩევილის სსოფნის აღსანიშნავად დღეს სახალხო საზღვი დილა გ იმართება.

თბ. ნანო ჭვილის გარდაცვალებიდან 2 3 წ. შესრულების გამო დღეს მწერლის სამორესთან. ჩიხასათში (გურიაშვ.) გადახდილ იქნება სამოქალაქო პან. შვიდი.

მიღება ხელის მოწერა 1917 წ. საქართველოს სოციალდემოკრატიულ პარტიის (გორგომისტთა) გაშეო

## „ჩლების თავისუფლება“-ზე

(წელიწადი პირველი. კეირაში ორჯერ)

იგანე გომართლის მახლობელი მუდმივი მონაწილეობით, მეუ და ჭარისკაც მწერალთა თანამდებობით და იოხებ იმედაშვილის რედაქტორობით.

გაშეოს მიზანია: მუშათა კლასის სამსახური, ეროვნული საკითხის მუშაური თეალ საზრისით გაშუქება, ივტონომისტთა გაერთიანება, და საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიის პოპულარიზაცია ხალხში.

გაშეოს ფასი: წლის ბოლომდე 5 მან., თითო ნომერი-ზ კ. ხელის მოწერა მიღება: რედაქტორის საკუთარ ბინაზე (გაშეოს ქ. № 20 ნ. აღვევანიდას სახლი, ლექსანდრეს ბალის თავში, ხაზის ზევით) და „სორიპანის“ სტამბის კანტორაში, ფოსტით: თიფლის რედ. „ხალხის თავისუფლება“ — იო. იმედაშვილი რედაქტორ გამომცემები იოხებ იმედაშვილი



**ჩლების კლები** 1 მაისის კონკრეტულის 23 30

პეტრი — რუსული წარმოდგენა. ბილეთ 50-30 კ.

ორგანიზაცია — ავტორები. ბილეთები: 1 გ. - 50

სამუშაო — საოჯახო სალამო

ორგანიზაცია — სინემატოგრაფი. სიმებ. ორკ.

ხუთაბა — ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კა.

პარად — ავტორები. ბილეთები: 1 გ. - 30 კ-დე

ება — სოფელი სალამო

ძეგია — რუსული წარმ. ბილეთ. 4-30 კ.

დასაშილი: კანცერტუებისა სეღამ. 9 თა.

წარმოდგენისა და სინემატოგრ. სალ. 8½ სამ შესას. ფასი მანდილოსნ. 50 კ. მამაკაც. 1 .

## „თეატრი და ცხოვრება“

თრი პრემიით წლიურად ღირს 8 მ., ნახევარი წლით 4 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიღება თბილისში „სორიპანის“ სტამბის კანტორაში მადათოვის კუნძ № 1, ფოსტით: თიფლის, რედ. „თეატრი და ცხოვრება“ — იო. იმედაშვილი.

ო թ ი ს թ ე დ ე გ ი



հոսքուն և սոսելու թվոցման առաջ, հյուր թուղարշյունին Շեղացի!...